

„გამტკიცებ“

საქართველოს დიპლომატიის ეროვნული
სკოლა



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის საკლუბო ჩემპიონატი
2003-2005 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟებს შორის

ოქროს ლიგა

თბილისი

2019

17 ივლისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- ოქროს ლიგაში მონაწილეობას იღებს ის რვა კლუბი, რომელიც 2019 წლის 9 მარტს გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა პირველ 8 საუკეთესო პოზიციაზე: შევარდენი 2005, ვიპ ძიუდო, ახმეტა, ჯვორჯია, მებრძოლი 2015, გლადიატორი, ვარსკვლავი 2024, არსენა.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 16 ივლისს ქ.თბილისში ძიუდოს ფედერაციაში.
- შეჯიბრი ჩატარდება 2019 წლის 17 ივლისს ქ. თბილისში, ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი 16 ივლისი. წასვლა 18 ივლისი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 14:00 საათი, ფინალური ბლოკი – 17:00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: 55კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ

აწონვა: ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია

16 ივლისი

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

17 ივლისი ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია

55 კგ; 60კგ; 66კგ; 73კგ; +73კგ

არაოფიციალური 10.30 – 11.00 საათამდე;

ოფიციალური 11.00 – 12.00 საათამდე;

VI. საპრიზო თანხა

- ოქროს ლიგის საპრიზო თანხად განსაზღვრულია 210 000 (ორას ათი ათასი) ლარი, რაც ნაწილდება კლუბებზე შემდეგნაირად:

I ადგილი – 50 000 ლარი

V ადგილი – 20 000 ლარი

II ადგილი – 40 000 ლარი

V ადგილი – 20 000 ლარი

III ადგილი – 30 000 ლარი

VII ადგილი – 10 000 ლარი

III ადგილი – 30 000 ლარი

VII ადგილი – 10 000 ლარი

- საპრიზო თანხების განკარგვის მიზნით კლუბებს ევალებათ ამ ჩემპიონატიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა შემდეგი პრინციპის მიხედვით:
 1. არაუმეტეს საერთო თანხის 25 % - კლუბის მწვრთნელის/ბის ხელფასები.
 2. საერთო თანხის 40 % - შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა სტიპენდირება.
 3. საერთო თანხის 25 % - კლუბის განვითარებისათვის სავარჯიშო ინვენტარი, კიბანოები, სასწავლო შეკრების მოწყობა. ფედერაციასთან შეთანხმებით სხვა აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს კლუბის განვითარებას.
 4. საერთო თანხის 10 % - საკუთარი შეხედულებით განკარგვა, გარდა მწვრთნელთა და ადმინისტრაციის პრემიებისა.
 5. დაუშვებელია კლუბის მიერ სპორტსმენთათვის განკუთვნილი სტიპენდიის ერთჯერადად ჩარიცხვა, თანხა უნდა განაწილდეს მინიმუმ 6 თვის განმავლობაში.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: geojudofed@gmail.com

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიბანო.
- ასევე აუცილებელი პირობაა თითოეული კლუბის მწვრთნელს ეცვას კლასიკური შარვალ-კოსტუმი.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისთვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წლით კატეგორიაში 2 კვოტით.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის დასაშვებია 1კგ ზედმეტი წონა.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი